

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ზოდი პლიუსი“ ს/ნ 202424313

**ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

31 დეკემბერი 2024 წელი

ორიგინალი ქართულ ენაზე

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება7

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება8

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები10-30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ზოდი პლიუსი“-ს დამფუძნებელს და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ზოდი პლიუსი“-ს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) ნორმების შესაბამისად და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2024 წლის მმართველობის ანგარიშში. მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა გავცენოთ ხელმძღვანელობის ანგარიშს და ამ სახით განვიხილოთ, არის თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებებთან ან აუდიტური შემოწმების დროს ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვაგვარად ავლენს თუ არა არსებით უზუსტობებს. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენ დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში შეიცავს არსებით უზუსტობას, ჩვენ მოგვეთხოვება, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით არ გვაქვს რაიმე ინფორმაცია, რომ განვაცხადოთ.

გარდა ამისა, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად ჩვენ ვალდებული ვართ, გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიშის კონკრეტული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, მოიცავს თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, ჩვენი აუდიტორული შემოწმების პროცესში შესრულებული სამუშაოების საფუძველზე:

- ხელმძღვანელობის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ინფორმაციას;
- ხელმძღვანელობის ანგარიში შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შეესაბამისად, ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის აზრით, შესაძლებელს გახდის ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს

ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენ მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ :

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებით უზუსტობების რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ

აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, კომპანიის მენეჯმენტს ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, კომპანიის მენეჯმენტს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები. ასევე ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენ დამოუკიდებლობასთან.

29 სექტემბერი 2025 წელი

შპს „აუდიტორნი“ (Reg. # SARAS-F-358275) სახელით

მმართველი პარტნიორი: თეიმურაზ კომლაძე (Reg. # SARAS-A-548742)

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ზოდი პლიუსი“-ს დამფუძნებელს და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ზოდი პლიუსი“-ს (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) ნორმების შესაბამისად და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2024 წლის მმართველობის ანგარიშში. მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა გავცენოთ ხელმძღვანელობის ანგარიშს და ამ სახით განვიხილოთ, არის თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებებთან ან აუდიტური შემოწმების დროს ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან ან სხვაგვარად ავლენს თუ არა არსებით უზუსტობებს. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენ დავასკვნით, რომ ხელმძღვანელობის ანგარიში შეიცავს არსებით უზუსტობას, ჩვენ მოგვეთხოვება, განვაცხადოთ ამ ფაქტის შესახებ. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით არ გვაქვს რაიმე ინფორმაცია, რომ განვაცხადოთ.

გარდა ამისა, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად ჩვენ ვალდებული ვართ, გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, შეესაბამება თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიშის კონკრეტული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, მოიცავს თუ არა ხელმძღვანელობის ანგარიში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, ჩვენი აუდიტორული შემოწმების პროცესში შესრულებული სამუშაოების საფუძველზე:

- ხელმძღვანელობის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ინფორმაციას;
- ხელმძღვანელობის ანგარიში შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შეესაბამისად, ასევე ისეთი შიდა კონტროლის სისტემაზე, რომელიც, ხელმძღვანელობის აზრით, შესაძლებელს გახდის ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს

ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენ მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ :

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებით უზუსტობების რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვვრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ


აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, კომპანიის მენეჯმენტს ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, კომპანიის მენეჯმენტს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები. ასევე ვაცნობეთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენ დამოუკიდებლობასთან.

29 სექტემბერი 2025 წელი



შპს „აუდიტორნი“ (Reg. # SARAS-F-358275) სახელით

მმართველი პარტნიორი: თეიმურაზ კომლაძე (Reg. # SARAS-A-548742)

მთ. ბუღალტერი: თამარ ჭანჭიჭაძე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობასა და შეფასებაზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით და მსს ფასს-დან მნიშვნელოვანი გადახრები წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 29 სექტემბერი 2025 წელი.

დირექტორი:

ზაურ გაბაიძე

მთ. ბუღალტერი:

თამარ ჭანვოტაძე

შპს "ზოდი პლიუსი"

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო შემოსავალი	4	31,204,364	28,229,286
საოპერაციო ხარჯები	4	(21,118,623)	(17,956,458)
საერთო მოგება		10,085,741	10,272,828
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(11,283,235)	(11,186,432)
საოპერაციო მოგება		(1,197,494)	(913,604)
ფინანსური ხარჯები		(1,076,562)	(893,966)
წმინდა საკურსო შემოსავალი/ზარალი		(345,198)	(63,047)
არასაოპერაციო შემოსავალი		566,248	125,366
არასაოპერაციო ხარჯები		(333,347)	(357,913)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		(2,386,352)	(2,103,164)
მოგების გადასახადი	6	(10,042)	(61,108)
წლის მოგება		(2,396,394)	(2,164,272)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(2,396,394)	(2,164,272)

დირექტორი

ზაურ გაბაიძე

ბუღალტერი:

თამარ ჭანკოტაძე

შპს "ზოდი პლიუსი"

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024 წ.	31 დეკემბერი 2023 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადის საშუალებები	7	15295502	15168519
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,295,502	15,168,519
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	8	75540	56467
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	3096103	2904174
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	9	792846	1175667
მარაგები	10	12885427	13494795
სულ მოკლევადიანი აქტივები		16,849,917	17,631,103
სულ აქტივები		32,145,418	32,799,622
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი	11	300	300
გადაფასების რეზერვი	16	8435929	8435929
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		(971,454)	1424939
სულ კაპიტალი		7,464,774	9,861,168
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	13	9045002	8665780
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9,045,002	8,665,780
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	13245298	12231385
მოკლევადიანი სესხები	12	2390344	2041289
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		15,635,642	14,272,674
სულ ვალდებულებები		24,680,644	22,938,454
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		32,145,418	32,799,622

დირექტორი

ზაურ გაბაიძე

ბუღალტერი:

თამარ ჭანკოტაძე

შპს "ზოდი პლიუსი"

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

კაპიტალში ცვლილებების გაანგარიშგება

	შენიშვნა	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის		300	13,259,561	13,259,861
წლის მოგება/ზარალი		-	(2,103,164)	(2,103,164)
გაცემული დივიდენდი		-	(1,234,421)	(1,234,421)
მოგების გადასახადი	6	-	(61,108)	(61,108)
გადაფასების რეზერვი	16	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის		300	9,860,868	9,861,168
წლის მოგება/ზარალი		-	(2,386,352)	(2,386,352)
გაცემული დივიდენდი		-	-	-
მოგების გადასახადი	6	-	(10,042)	(10,042)
გადაფასების რეზერვი	16	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის		300	7,464,474	7,464,774

დირექტორი

ზაურ გაბაიძე

ბუღალტერი:

თამარ ჭანკოტაძე

შპს "ზოდი პლიუსი"

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მომხმარებელიდან მიღებული ფულადი სახსრები	34,610,794	33,983,006
სავაჭრო ვალდებულებებზე გაცემული ფულადი სახსრები	(24,109,928)	(24,269,974)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(3,844,407)	(3,758,173)
დღგ და სხვა გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	(5,435,031)	(5,387,502)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები	(383,312)	(370,494)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	838,118	196,863
მოგების გადახდილი გადასახადი	(10,042)	(61,108)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	828,076	135,755
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა დღგ-ს ჩათვლით	(2,007,611)	(287,636)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	1,723,800	1,355,000
სხვა მხარეებზე გაცემული ფულადი სახსრები სესხის სახით	(125,800)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(409,611)	1,067,364
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების მიღება	6,492,076	9,526,807
სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების დაფარვა	(5,829,634)	(8,636,192)
გადახდილი დივიდენდი	-	(1,172,700)
გადახდილი პროცენტი	(1,061,668)	(885,083)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(399,226)	(1,167,168)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	(166)	(17,217)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა კლება	19,073	18,735
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	56,467	37,732
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	75,540	56,467

დირექტორი

ბუღალტერი:

.ზაურ გაბაიძე

თამარ ჭანკოტაძე

შპს "ზოდი პლიუსი"

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო შემოსავალი	4	31,204,364	28,229,286
საოპერაციო ხარჯები	4	(21,118,623)	(17,956,458)
საერთო მოგება		10,085,741	10,272,828
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(11,283,235)	(11,186,432)
საოპერაციო მოგება		(1,197,494)	(913,604)
ფინანსური ხარჯები		(1,076,562)	(893,966)
წმინდა საკურსო შემოსავალი/ზარალი		(345,198)	(63,047)
არასაოპერაციო შემოსავალი		566,248	125,366
არასაოპერაციო ხარჯები		(333,347)	(357,913)
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		(2,386,352)	(2,103,164)
მოგების გადასახადი	6	(10,042)	(61,108)
წლის მოგება		(2,396,394)	(2,164,272)
წლის სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(2,396,394)	(2,164,272)

დირექტორი

ბუღალტერი:

ზაურ გაბაიძე

თამარ ჭანკოტაძე

შპს "ზოდი პლიუსი"

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024 წ.	31 დეკემბერი 2023 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადის საშუალებები	7	15295502	15168519
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,295,502	15,168,519
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	8	75540	56467
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	3096103	2904174
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	9	792846	1175667
მარაგები	10	12885427	13494795
სულ მოკლევადიანი აქტივები		16,849,917	17,631,103
სულ აქტივები		32,145,418	32,799,622
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი	11	300	300
გადაფასების რეზერვი	16	8435929	8435929
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი		(971,454)	1424939
სულ კაპიტალი		7,464,774	9,861,168
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	13	9045002	8665780
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9,045,002	8,665,780
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	13245298	12231385
მოკლევადიანი სესხები	12	2390344	2041289
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		15,635,642	14,272,674
სულ ვალდებულებები		24,680,644	22,938,454
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		32,145,418	32,799,622

დირექტორი

ბუღალტერი:



ზაურ გაბაიძე

თამარ ჭანკოტაძე

შპს "ზოდი პლიუსი"


ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

კაპიტალში ცვლილებების გაანგარიშგება


	შენიშვნა	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის		300	13,259,561	13,259,861
წლის მოგება/ზარალი		-	(2,103,164)	(2,103,164)
გაცემული დივიდენდი		-	(1,234,421)	(1,234,421)
მოგების გადასახადი	6	-	(61,108)	(61,108)
გადაფასების რეზერვი	16	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის		300	9,860,868	9,861,168
წლის მოგება/ზარალი		-	(2,386,352)	(2,386,352)
გაცემული დივიდენდი		-	-	-
მოგების გადასახადი	6	-	(10,042)	(10,042)
გადაფასების რეზერვი	16	-	-	-
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის		300	7,464,474	7,464,774

დირექტორი



ზაურ გაბაიძე

ბუღალტერი:



თამარ ჭანკოტაძე

შპს "ზოდი პლიუსი"
 ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მომხმარებელიდან მიღებული ფულადი სახსრები	34,610,794	33,983,006
სავაჭრო ვალდებულებებზე გაცემული ფულადი სახსრები	(24,109,928)	(24,269,974)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(3,844,407)	(3,758,173)
დღგ და სხვა გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	(5,435,031)	(5,387,502)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები	(383,312)	(370,494)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	838,118	196,863
მოგების გადახდილი გადასახადი	(10,042)	(61,108)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	828,076	135,755
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა დღგ-ს ჩათვლით	(2,007,611)	(287,636)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	1,723,800	1,355,000
სხვა მხარეებზე გაცემული ფულადი სახსრები სესხის სახით	(125,800)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(409,611)	1,067,364
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების მიღება	6,492,076	9,526,807
სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების დაფარვა	(5,829,634)	(8,636,192)
გადახდილი დივიდენდი	-	(1,172,700)
გადახდილი პროცენტი	(1,061,668)	(885,083)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(399,226)	(1,167,168)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	(166)	(17,217)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა კლება	19,073	18,735
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	56,467	37,732
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	75,540	56,467

დირექტორი

ბუღალტერი:

ზაურ გაბაიძე

თამარ ჭანკოტაძე

განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი, ორგანიზაცია და საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ზოდი პლიუსი“ დაფუძნდა 2007 წელს. კომპანიის საქმიანობის სფერო მოიცავს სამშენებლო მასალების იმპორტს და რეალიზაციას. ასევე ქვის ლოდების დამუშავებასა და რეალიზაციას. კომპანია საქმიანობას აწარმოებს როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს რეგიონებში. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, ნონა გაფრინდაშვილის ქ. # 11.

კომპანიის დამფუძნებელი არის ზაურ გაბაიძე - 100% წილით.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას საშუალოდ დაქირავებული ყავდა 184 თანამშრომელი, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 197 თანამშრომელი.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ქართულ ლარში (შემდგომში „ლარი“).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი მონეტარული აქტივებისთვის გამოიყენებოდა შემდეგი გაცვლითი კურსები: 1 აშშ დოლარი - 2.8068 ლარი (2023: 1 აშშ დოლარი - 2,6894 ლარი). 1 ევრო - 2,9306 ლარი (2023: 1 ევრო: 2,9753 ლარი). 1 თურქული ლირა 0,0795 ლარი (2023: 1 თურქული ლირა 0,0910 ლარი). 100 რუსული რუბლი - 2,5405 ლარი (2023: 100 რუსული რუბლი - 2,9916 ლარი).

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

ანგარიშგების მომზადების საფუძველი. წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია მის ფას-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. ორგანიზაციის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯები კლასიფიცირებულია ფუნქციის მიხედვით. კომპანიის შეხედულებით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

შეფასების საფუძველი

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის აღწერილი (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით ან ოპციონის ფასის გამოთვლის მოდელებით, რომლებიც ასახავს ემიტენტის გარკვეულ გარემოებებს). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავალი რეალიზაციიდან.

შემოსავალი სასაქონლო-მატერიალური მარაგების რეალიზაციიდან აღიარდება საქონლის მიწოდების პერიოდის მიხედვით. დასრულებული მიწოდების სტადია განისაზღვრება საქონლის უშუალოდ მყიდველისთვის მიწოდებისთან მიმართებაში.

სხვა შემოსავალი:

გაწეული მომსახურებიდან სხვა შემოსავალი აღიარდება, როდესაც შემოსავლის თანხის ოდენობა შესაძლოა შეფასდეს საიმედოდ; სავარაუდოა, რომ კომპანია მიიღებს სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს.

ხარჯები:

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე და აღიარდება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხარჯები მოხდა და სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი გავიდეს კომპანიიდან;

ფინანსური ინსტრუმენტები-შეფასების ძირითადი საფუძვლები.

მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვევით.

სამართლიანი ღირებულება არის ფასი რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან გადაიხდება საიმედოდ რომ მოხდეს ვალდებულების დაფარვა კანონიერი გარიგების საშუალებით ბაზრის მონაწილეებს შორის სამართლიანი ღირებულების დადგენის თარიღისას. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასი. აქტიური ბაზარი არის ბაზარი, სადაც აქტივისა და ვალდებულებებთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისი სიხშირით და მოცულობით ხდება საიმედოდ რომ უზრუნველყოს ფასების შესახებ მუდმივი ინფორმაცია. აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ გამოტანილი ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება იზომება როგორც

პროდუქტი კვოტირებული ფასით ინდივიდუალური აქტივებისთვის ან ვალდებულებებისთვის, რომელიც არის კომპანიის მფლობელობაში. ასეა მაშინაც კი თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისად საიმედოდ, რომ აითვისოს მფლობელობაში არსებული რაოდენობა და ერთი ოპერაციით პოზიციის გაყიდვისთვის დაკვეთების განთავსებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს კვოტირებულ ფასზე. იმ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით, რომელთან დაკავშირებითაც არ მოიპოვება ინფორმაცია გარე საბაზრო ფასის შესახებ, გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მიხედვით შექმნილი მოდელები ან იმ საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა, რომელშიც განხორციელდა ინვესტიცია.

შეფასების მეთოდების გამოყენებას შეიძლება დასჭირდეს დაშვებები, რომელიც არ ეფუძნება ბაზრის მონაცემებს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია განმარტებითი შენიშვნები, თუ რომელიმე დაშვების ცვლილება გამოიწვევს მოგების, შემოსავლის, აქტივების და ვალდებულებების ჯამის არსებით შეცვლას. სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხორციელდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში(დონეები) არსებული შემდეგი დონეების მიხედვით: პირველ დონეზე წარმოდგენილია აქტიურ ბაზარზე მიმოქცევაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (ისეთი, როგორიცაა საჯარო გაყიდვაში არსებული წარმოებული ინსტრუმენტები, სავაჭრო და გაყიდვის განკუთვნილი ფასინი ქაღალდები) დაფუძნებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბაზრის კვოტირებულ ფასებზე. მეორე დონეზე წარმოდგენილია იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის მიმოქცევაში აქტიურ ბაზარზე (მაგალითად: არასაბირჟო წარმოებული ინსტრუმენტები) დგინდება იმ შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს და რაც შეიძლება ნაკლებად ეყრდნობა კომპანიის სპეციფიკის შეფასებას. თუ არსებობს ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი, ინსტრუმენტი მიეკუთვნება დონე 2-ს. და იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან მეტი მნიშვნელოვანი მონაცემი არ წარმოადგენს დაკვირვებადი ბაზრის მაჩვენებელს, ინსტრუმენტი მიეკუთვნება დონე 3-ს. ეს ეხება ბირჟაზე არაკვოტირებულ ფასიან ქაღალდებს.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება.

სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდები, დერივატივები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით, თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვა დანარჩენი ფინანსური ინსტრუმენტები აღიარდება სამართლიანი ღირებულებისა და ტრანზაქციის ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების მსს ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს. ფინანსური

გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

აქტივების ყველა ის შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდებაც მოითხოვება მარეგულირებელი ან საბაზრო შეთანხმებით დადგენილ ვადებში (“რეგულარული” ყიდვა-გაყიდვის გარიგებები), აღირიცხება გარიგების დღეს, რომელიც ის დღეა, რომელზეც კომპანია კისრულობს ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როცა კომპანია გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

საკრედიტო რისკი.

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური მოცულობის საკრედიტო რისკს.

სასაქონლო მატერიალური მარაგები.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი. დასრულებულ და მიმდინარე პროექტების ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას და სხვა ხარჯებს გარდა მიღებული სესხებისა. სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ მსს ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები.

ფული და ფულის ექვივალენტები.

ფული და ფულის ექვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ექვივალენტებს. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

გაცემული მოთხოვნები.

კლიენტებზე გაცემული მოთხოვნები აღირიცხება, როდესაც კომპანია გასცემს კლიენტზე არაკვოტირებული არადერივატიული დებიტორული დავალიანების შესყიდვის ან წარმოქმნის მიზნით, რომელიც გადასახდელია დადგენილ ან განსაზღვრულ ვადებში და არ აქვს დებიტორული დავალიანების გაყიდვის განზრახვა. გაცემული მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალში, როდესაც იგი წარმოიქმნება ერთი ან მეტი შემთხვევის დადგომის შედეგად (“ზარალის შემთხვევები”), რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარუდო მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობაზე და დაფარვის დროზე, და რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია. თუ განსაზღვრავს, რომ არ არსებობს არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება (მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო) ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივზე, ის აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკ-მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ. ძირითადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც განსაზღვრავს, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს. ქვემოთ მითითებული სხვა ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის, არსებობს თუ არა ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება:

გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ხორციელდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომლებშიც არ შედის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგები, რომლებიც არ დამდგარა) მიმდინარე ღირებულებამდე ჩამოწერით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის საანგარიშო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს დასაკუთრებიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, მინუს უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის ხარჯები, მიუხედავად იმისა დასაკუთრება მოსალოდნელია თუ არა.

თუ რომელიმე მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება ობიექტურად დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების აღიარების შემდეგ (როგორცაა გაუმჯობესება დებიტორის საკრედიტო რეიტინგში), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, რომელიც ასახავს ჰპოვებს მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

ამოუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ანარიცხის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) მ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის გადაცემა ან (ii)

საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაკისრების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ანარიცხების გამოკლებით, როდესაც ეს არის საჭირო. რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. ძირითადი საშუალებების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი ნაწილი ჩამოიწერება.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ანაზღაურების ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის სამართლიანი ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურების ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების ნარჩენ საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა არასაოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ძირითადი საშუალებების გაუფასურების შემთხვევაში, მათი ღირებულება ჩამოიწერება იმ ღირებულებებს შორის უმსხვილეს მნიშვნელობაზე, რომელიც მიიღება გამოყენების შედეგად ან სამართლიანი ღირებულებით გაყიდვის ხარჯის გათვალისწინებით. საბალანსო ღირებულების კლება, რომელიც გამოწვეულია ასეთი ძირითადი საშუალებების გადაფასებით მიიჩნევა ხარჯად იმ ხარისხით, რა ხარისხითაც აღემატება გადაფასებულ ღირებულებას, რომელიც წარმოიქმნება მოცემული აქტივის გადაფასებით. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების ნარჩენ საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია როგორც მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გაყიდვიდან.

ცვეთა

შპს „ზოდი პლიუსი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

ძირითად საშუალებებზე ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით :

მიწა	ცვეთა არ ერიცხება
შენობები	50 წელი
მანქანა-დანადარები	10-20 წელი
მძიმე ტექნიკა	20 წელი
მსუბუქი ავტომობილები	10 წელი
კომპიუტერული ტექნიკა და მოწყობილობები	8 წელი

აქტივის ნარჩენი/სალიკვიდაციო ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის გასვლიდან, აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმ შემთხვევაში თუ აქტივი იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება უდრის ნულს იმ შემთხვევაში, თუ აპირებს ობიექტის გამოყენებას მისი გამოყენების ფიზიკური ვადის დასრულებამდე. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები.

კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს აქვს სასრული მომსახურების ვადა და პირველ რიგში მოიცავს კომპიუტერულ პროგრამებს. შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები კაპიტალიზირდება მათ შესაძენად გადახდილი თანხის და მათ სამუშაო მდგომარეობამდე მიყვანის ხარჯების შესაბამისად.

განვითარების ხარჯები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება კომპანიის მიერ კონტროლირებად იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამებს, აღირიცხება როგორც არამატერიალური აქტივები, თუ დამატებითი სარგებელი გადააჭარბებს სავარაუდო ხარჯებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

შპს „ზოდი პლიუსი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

კომპიუტერული პროგრამები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით.

საოპერაციო იჯარა.

როდესაც კომპანია არის მოიჯარე და როდესაც მეიჯარესგან საკუთრების უფლების გადაცემისას მასზე მთლიანად არ ხდება ყველა რისკის და სარგებლის გადასვლა, იჯარის არსებობის მთელ პერიოდზე, მთლიანი საიჯარო გადახდების აღიარება ხდება წრფივი მეთოდით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მიღებული სესხები.

სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მოგების გადასახადი.

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს. სახელმწიფო ბიუჯეტში წინასწარ გადახდილი თანხები წარმოადგენს დღეს აქტივს.

დივიდენდები.

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნებში.

შპს „ზოდი პლიუსი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშში ყველა ვალის ინსტრუმენტისათვის დარიცხვის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი განსაზღვრავს, როგორც საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯების ნაწილს, ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებული ყველა საფასურს, რომელიც ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, ტრანზაქციის ხარჯებს და სხვა პრემიებს ან ფასდაკლებები. როდესაც სესხებისა და სხვა სავალო ინსტრუმენტების შეგროვება საექვოა, ისინი ჩამოფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებაზე და ამის შემდგომ საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ახალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით როლმლის გამოყენებაც მოხდა გაუფასურების ანარიცხის განსაზღვრისთვის.

პოტენციური ვალდებულებები.

სასამართლო დავები. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე. საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

მფლობელთა კაპიტალი.

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლის გადაწყვეტილებებით.

შპს „ზოდი პლიუსი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

უცხოური ვალუტაში გადაანგარიშება

კომპანიის საოპერაციო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი. მონეტარული აქტივები და ვალდებულებები სუბიექტის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. მონეტარული აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება-ზარალი (ტრანზაქციის დღეს არსებული კურსით) აღიარებულია მოგება-ზარალში. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება არაფულად პუნქტებთან დაკავშირებით. გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად მიღებული ცვლილებები სამართლიანი ღირებულებით წარდგენილ წილობრივ ინსტრუმენტებში აღირიცხება როგორც სამართლიანი ღირებულების ცვლილების მოგება-ზარალში ასახვის ნაწილი.

ავანსები

ავანსები წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. ავანსი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როცა ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თვითონ კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივად აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და აშკარა გახდება რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები იქნება მიღებული. თუ არის მინიშნება, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურებები არ იქნება მიღებული, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისად აღიარდება გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი წლის მოგებასა ან ზარალში.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვაზე

შპს „ზოდი პლიუსი“

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

და გამიზნულია დარეგულირდეს ნეტო საფუძველზე ან ერთრდოულად მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

ახალი და შესწორებული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

შემდეგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შევიდა ძალაში 2024 წლის 1 იანვრიდან:

- ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).
- ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2025 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

- შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი).

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს "ზოდი პლიუსი"

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

4 შემოსავალი და გაწეული ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
შემოსავლები		
შემოსავალი ნედლეულის და მასალების მიწოდებიდან	29,640,410	26,573,822
შემოსავალი მომსახურების მიწოდებიდან	1,563,953	1,655,464
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		
ნედლეულის და მასალების ღირებულება	(21,118,623)	(17,956,458)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი	10085741	10272828

შპს "ზოდი პლიუსი"

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

5 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
ხელფასის ხარჯი	(4,879,236)	(4,784,002)
რეკლამა/მარკეტინგული ხარჯი	(754,356)	(564,414)
საგადასახადო ხარჯი	(148,202)	(141,545)
კომუნალურები/კომუნიკაცია	(383,554)	(377,100)
საპენსიო შენატანები	(102,615)	(100,627)
ძირითადი საშუალებების საექსპლოატაციო ხარჯი	(316,990)	(567,533)
დებიტორების გაუფასურება/აღდგენა	32,865	(282,018)
სხვა ხარჯები	(3,133,153)	(2,872,776)
იჯარა	(1,073,380)	(948,026)
ცვეთა და ამორტიზაცია-პირდაპირი	(524,614)	(548,390)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(11,283,235)	(11,186,432)

6 მოგების გადასახადი

	2024 წელი	2023 წელი
მოგების გადასახადი	(10,042)	(61,108)
გადავადებული გადასახადი		
სულ მოგების გადასახადი	(10,042)	(61,108)

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეკვიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის იანვრიდან.

საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა /ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება რომელიც შეიძლება წარმოიშვას მომავალ პერიოდში მოგების განაწილების . შედეგად, არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს "ზოდი პლიუსი"

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

7 ძირითადი საშუალებები

	მიწა	კომპიუტერული აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანები და აღჭურვილობა	სხვა აღჭურვილობა	ლიზინგით მიღებული მანქანები და აღჭურვილობა	შენობები	სულ
თვითღირებულება								
2022 წლის 31 დეკემბერი	4,607,000	152,468	32,107	2,778,192	2,156,677	-	8,409,126	18,135,571
შემენა		18,796		172,369	49,162		3,432	243,759
გასვლა/გაყიდვა				(15,000)	(265,723)			(280,723)
ტრანსფერი								-
გადაფასება								-
2023 წლის 31 დეკემბერი	4,607,000	171,264	32,107	2,935,561	1,940,116	-	8,412,558	18,098,607
შემენა		5,983	1,517,806	124,034	54,388			1,702,211
გასვლა/გაყიდვა		(3,668)		(1,363,877)	(51,138)			(1,418,683)
ტრანსფერი								-
გადაფასება								-
2024 წლის 31 დეკემბერი	4,607,000	173,579	1,549,913	1,695,718	1,943,366	-	8,412,558	18,382,134
დაგროვილი ცვეთა								
2022 წლის 31 დეკემბერი	-	82,840	-	489,683	952,664	-	971,067	2,496,254
ცვეთა	-	21,300	-	165,999	191,454	-	169,637	548,390
მინუს: გაყიდული ძირითადი საშუალების დაგროვილი ცვეთა				(15,000)	(99,557)			(114,557)
2023 წლის 31 დეკემბერი	-	104,140	-	640,682	1,044,561	-	1,140,705	2,930,087
ცვეთა		21,588		158,706	174,663		169,656	524,614
მინუს: გაყიდული ძირითადი საშუალების დაგროვილი ცვეთა		(3,668)		(313,444)	(50,958)			(368,069)
2024 წლის 31 დეკემბერი	-	122,060	-	485,944	1,168,267	-	1,310,361	3,086,632
ნარჩენი ღირებულება								
2023 წლის 31 დეკემბერი	4,607,000	67,124	32,107	2,294,879	895,555	-	7,271,854	15,168,519
2024 წლის 31 დეკემბერი	4,607,000	51,519	1,549,913	1,209,774	775,099	-	7,102,197	15,295,502

შპს "ზოდი პლიუსი"

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

8 ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული სალაროში	1,023	1,969
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	74,517	54,498
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	75,540	56,467

2023 და 2024 წლის ბოლოს არ არის არსებითი განსხვავება ფულის და ფულის ექვივალენტების საბალანსო და სამართლიან ღირებულებებს შორის.

9 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	3,309,022	2,816,478
საგადასახადო მოთხოვნები	36,234	369,714
წინასწარ გადახდები	792,846	1,175,667
საექვო სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	(249,153)	(282,018)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,888,950	4,079,841

საექვო სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი 01 იანვარი 2023 წელი	-
წლის რეზერვის დარიცხვა	(282,018)
აღდგენა	-
საექვო სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი 31 დეკემბერი 2023 წელი	(282,018)
წლის რეზერვის დარიცხვა	-
აღდგენა	32,865
საექვო სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი 31 დეკემბერი 2024 წელი	(249,153)

შპს "ზოდი პლიუსი"

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

10 მარაგები

	31 დეკემბერი	
	2024	31 დეკემბერი 2023
ნედლეული	12,826,183	13,370,174
საწვავი	7,669	7,045
სხვა მარაგები	51,575	117,576
სულ მარაგები	12,885,427	13,494,795

ნედლეული მოიცავს სარეალიზაციოდ განკუთვნილ პროდუქციას. საწვავი განკუთვნილია ორგანიზაციის კუთვნილი ავტომობილებისთვის. სხვა მარაგები მოიცავს ძირითადი საშუალებების შესაქმნელ მასალა-ნედლეულს და წარმოების მანქანა დანადგარების ცვეთად სათანადო ნაწილებს.

მარაგები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის დაგირავებული მიღებული სესხების უზრუნველყოფის მიზნით.

11 მფლობელთა კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება გენერალური დირექტორის ბრძანებით და შეადგენს 300 ლარს. კომპანიის მფლობელი ამჟამად არის ზაურ გაბაიძე - 100% წილით.

2024 წელს დივიდენდი არ გაცემულა

შპს "ზოდი პლიუსი"

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

12 მოკლევადიანი სესხები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფიზიკური პირები	1,390,344	1,541,595
სს პროკრედიტ ბანკი		499,693
სს სილქ ბანკი	1,000,000	
სულ სესხები	2,390,344	2,041,289

მოკლევადიანი სესხი 280680 ლარის ოდენობით აღებულია რამოდენიმე ფიზიკური პირისაგან აშშ დოლარში. წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 12დან-19%-მდე. არ არის არსებითი განსხვავება სესხის ეფექტურ და წლიურ საპროცენტო განაკვეთებს შორის. ფიზიკურ პირთათვის პროცენტის გადახდა ხდება ყოველთვიურად. სესხი 1109664.31 ლარის ოდენობით აღებულია კომპანიის დამფუძნებლისაგან საპროცენტო სარგებლის გარეშე. 2024 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიას სს პროკრედიტ ბანკისაგან აღებული აქვს მყიდველისათვის წარსადგენად 128302 აშშ დოლარისა და 197980 ლარის საბანკო გარანტია.

13 გრძელვადიანი სესხები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სს პროკრედიტ ბანკი	7,986,996	7,665,780
სს სილქ ბანკი	1,058,005	1,000,000
სულ სესხები	9,045,002	8,665,780
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	9,045,002	8,665,780

სს პროკრედიტ ბანკიდან მიღებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2024 წლის მდგომარეობით სხვადასხვა ვალუტაში შეადგენს: დოლარში - 6.3-6.5 %, საკრედიტო ხაზზე-8.9%; ევროში - 4.9 % და ლარში - 11-13%. სს სილქ ბანკიდან მიღებულ სესხზე საპროცენტო განაკვეთი 2024 წლის მდგომარეობით ეროვნულ ვალუტაში შეადგენს -14-14.5%.

ს/ს პროკრედიტ ბანკიდან მიღებულ სესხებზე (გარდა საკრედიტო ხაზისა) გადახდის გრაფიკი განსაზღვრული იყო ყოველთვიურად ძირის და პროცენტის დაფარვით.

სს სილქ ბანკიდან მიღებულ სესხის ნაწილზე გადახდის გრაფიკით განსაზღვრული იყო მხოლოდ პროცენტის დაფარვა, ნაწილზე კი ყოველთვიურად ძირის და პროცენტის დაფარვა.

არ არის მატერიალური განსხვავება სესხის საბალანსო და სამართლიან ღირებულებებს შორის.

14 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	12585807	11,871,622
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	221893	216,475
გადასახდელი პროცენტი	33436	21,467
ვალდებულებები საპენსიო ფონდის მიმართ	251051	121,821
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	153111	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,245,298	12,231,385

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს მყიდველებისაგან მიღებულ ავანსებს (2443361 ლარი) და მომწოდებლებთან დავალიანებას (10140696 ლარი).

სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები მოიცავს გარდაცვლილი თანამშრომლის ოჯახის მიმართ კომპანიის ნაკისრ ვალდებულებას, რომელიც დაფარულია 2025 წელს.

15 დაკავშირებული მხარეები

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად განიხილებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორეს კონტროლის შესაძლებლობა ან ერთ მხარეს შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარის ფინანსურ თუ საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. სავარაუდო დაკავშირებული მხარის ურთიერთობების განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას :

	2024	2023
31 დეკემბრისთვის არსებული საბალანსო ნაშთები		
სავაჭრო მოთხოვნები	465,527	483,870
სავაჭრო ვალდებულებები	33,748	43,623

სავაჭრო მოთხოვნებში შედის: 1. შპს ზოდი მაინინგისათვის გადახდილი ავანსი 114500 ლარის ოდენობით. აღნიშნული შპს -ს დამფუძნებელი შპს ზოდი პლიუსის 100 %იანი წილის მფლობელი ზაურ გაბაიძეა. 2. შპს ლაიმსთუნ ჯორჯიას მიმართ მოთხოვნა 200 ლარის ოდენობით. აღნიშნული შპს-ს 77% იანი წილის მფლობელი ზაურ გაბაიძეა. 3. შპს ზოდი მარმოს მიმართ მოთხოვნა 1980 ლარის ოდენობით. აღნიშნული შპს-ს 55% იანი წილის მფლობელი ზაურ გაბაიძეა. 4. შპს ჯი ენ სთოუნის მიმართ მოთხოვნა 102378 ლარის ოდენობით. აღნიშნული შპს-ს 50% იანი წილის მფლობელი ზაურ გაბაიძეა. 5. შპს ზოდი სთოუნის მიმართ მოთხოვნა 126923 ლარის ოდენობით. აღნიშნული შპს-ს 100% იანი წილის მფლობელი ზაურ გაბაიძეა. 6. შპს კოზმანის მიმართ მოთხოვნა 8291 ლარის ოდენობით. აღნიშნული შპს-ს 55%-იანი წილის მფლობელი ზაურ გაბაიძეა. 7. შპს ემ ჯი მაინინგის მიმართ მოთხოვნა 111255 ლარის ოდენობით. აღნიშნული შპს-ს 50%-იანი წილის მფლობელი ზაურ გაბაიძეა. სავაჭრო ვალდებულებებში შედის 1. შპს ლაიმსთუნ ჯორჯიას მიმართ ვალდებულება 23041 ლარის ოდენობით. 2. შპს ზოდი იმპორტის მიმართ ვალდებულება 7578 ლარის ოდენობით აღნიშნული შპს-ს 50%-იანი წილის მფლობელი ზაურ გაბაიძეა. 3. ჯი ენ სთოუნის მიმართ ვალდებულება 3128 ლარის ოდენობით აღნიშნული შპს-ს 50%-იანი წილის მფლობელი ზაურ გაბაიძეა

ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება შემდეგია:

	2024	2023
მოკლევადიანი ანაზღაურება - ხელფასები და ბონუსები	276,324	232,265
სულ:	276,324	232,265

შპს "ზოდი პლიუსი"

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

16 ძირითადი საშუალებების გადაფასება

ძირითადი საშუალება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, საწარმომ უნდა ასახოს გადაფასებული ღირებულებით, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით. თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში, დაგროვდეს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში და ეწოდოს "გადაფასების ნამეტი"

2021 წლის ნოემბერში მოწვეული დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ გადაფასებული იქნა კომპანიის კუთვნილი მიწის ნაკვეთები და მათზე დამაგრებული შენობა-ნაგებობები. 2024 წელს გადაფასება არ განხორციელებულა.

17 ფინანსური რისკების მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური აქტივობების აღსრულებისას კომპანია შემდეგი შესაძლოა

1) საკრედიტო რისკი: შესაძლებლობა იმისა, რომ დებეტორმა დროულად, სრულად ან ნაწილობრივ არ დაფაროს მის მიერ აღებული სასესხო ვალდებულება და აქედან გამომდინარე, დააზარალოს კომპანია.

2) ლიკვიდურობის რისკი: რისკი იმისა, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს საჭირო ვადებში ფულადი რესურსების მოძიება და აქედან გამომდინარე ვერ შეძლოს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა.

3) საბაზრო რისკი: არასტაბილური საბაზრო ფასებით გამოწვეული ფინანსური ინსტრუმენტების, კონკრეტულად, სამართლიანი ღირებულებისა და სამომავლო ფულადი ნაკადების, არამდგრადობის რისკი. ძირითადად კომპანია სამი საბაზრო რისკის წინაშე დგას:

- საპროცენტო განაკვეთის რისკი;
- გაცვლითი კურსის რისკი;
- კაპიტალის ღირებულების რისკი.

რისკების მართვა ხორცილდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

შპს "ზოდი პლიუსი"

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გაანგარიშების ერთეული: ქართული ლარი

შემდეგ ცხრილში შეჯამებულია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება :

	2024	2023
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	75,540	56,467
სავაჭრო მოთხოვნები	3,888,950	4,079,841
სულ ფინანსური აქტივები	3,964,490	4,136,308
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,245,298	12,231,385
მიღებული სესხები	11,435,346	10,707,069
სულ ფინანსური ვალდებულებები	24,680,644	22,938,454

საბაზრო რისკი. კომპანია განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძნობიარობას. საბაზრო რისკი გამოდინარეობს (ა)საპროცენტო რისკში, ვალუტაში, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. (ბ)აქტივები და ვალდებულებები რომლებსაც პროცენტი ერიცხებათ (გ) და კაპიტალის შემადგენელი მუხლები, რომლებზეც გავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი. ორგანიზაციაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს სავალუტო რისკის დონეზე და მთლიანობაში ერთდღიან და რამდენიმე დღიან პოზიციებზე, რომელთა მონიტორინგიც ყოველდღიურად ხორციელდება.

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდობის რისკი ეხება სესხის გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ზოდი პლიუსი“-ს დამფუძნებელს და მენეჯმენტს:

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ზოდი პლიუსის“-ს („კომპანია“), ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად მომზადებული, 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების მიმოხილვა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და შევაფასოთ:

- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

ჩვენ გავცანით თანდართულ მმართველობის ანგარიშგების მიმოხილვას და მივიჩნიეთ, რომ:

- 2024 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიმჩნევია რაიმე არსებითი შეუსაბამობები რაც მიგვანიშნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვედრილია 2024 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

29 სექტემბერი 2025 წელი

შპს „აუდიტორნი“-ს სახელით

მმართველი პარტნიორი:

თეიმურაზ კომლაძე

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ზოდი პლიუსი“-ს დამფუძნებელს და მენეჯმენტს:

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ზოდი პლიუსი“-ს („კომპანია“), ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად მომზადებული, 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების მიმოხილვა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ არ გამოვხატავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. ჩვენი, როგორც აუდიტორების, პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და შევაფასოთ:

- რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- რამდენად შეიცავს ყველა იმ ინფორმაციას, რაც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.


ჩვენ გავცანით თანდართულ მმართველობის ანგარიშგების მიმოხილვას და მივიჩნიეთ, რომ:

- 2024 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიძინებია რაიმე არსებითი შეუსაბამოები რაც მიგვანიშნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია თანხვედრითაა 2024 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლის აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

29 სექტემბერი 2025 წელი

შპს „აუდიტორნი“-ს სახელით

მმართველი პარტნიორი:




თეიმურაზ კომლაძე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული წლისთვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2024 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება შპს „ზოდი პლიუსის“ დირექტორის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 25 სექტემბერს.

შპს „ზოდი პლიუსის“ სახელით:


დირექტორი, ზაურ გაბაიძე

25 სექტემბერი, 2025 წელი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ზოდი პლიუსი“

მმართველობის ანგარიშგება
(2024 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული წლისთვის)

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული წლისთვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2024 წლის 31 დეკემბრით დამთავრებული წლისთვის წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება შპს „ზოდი პლიუსის“ დირექტორის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 25 სექტემბერს.

შპს „ზოდი პლიუსის“ სახელით:

დირექტორი, ზაურ გაბაიძე

25 სექტემბერი, 2025 წელი
თბილისი, საქართველო

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

კომპანიის რეგისტრაციის/დაფუძნების თარიღი: 2007 წლის 25 სექტემბერი.

კომპანიის სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანიის ბენეფიციარი მესაკუთრეები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: ზაურ გაბაიძე (61002000241) - კომპანიის წილის, 100 %-ის მფლობელი.

კომპანიის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი: ზაურ გაბაიძე (61002000241) - დირექტორი.

დასაქმებულთა რაოდენობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 166 ადამიანი.

ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ:

შპს „ზოდი პლიუსის“ საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სამშენებლო-სარემონტო მასალების იმპორტი, წარმოება, გადამუშავება და რეალიზაცია საქართველოს ბაზარზე. იგი ლიდერია ბუნებრივი ქვებისა და ინტერიერისა და ექსტერიერის კარების ბაზარზე საქართველოში. გარდა აღნიშნულისა, კომპანია ახორციელებს სხვადასხვა სახის სარემონტო და მოსაპირკეთებელი მასალის იმპორტსა და რეალიზაციას, მათ შორის კერამიკული ფილების, აბაზანის აქსესუარების, იატაკის მოსაპირკეთებელი მასალების, შიდა და გარე ავეჯის და სხვა. კომპანიის მფლობელობაშია მაღალკვალიფიციური პერსონალითა და შესაბამისი დაზგა-დანადგარებით დაკომპლექტებული ქვის საამქრო, სადაც მომხმარებლისთვის სასურველი დიზაინის ქვის ნაკეთობები მზადდება. კომპანიას სავაჭრო ურთიერთობები აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან, მათ შორის იტალიასთან, პოლონეთთან, უკრაინასთან, ბელორუსიასთან, რუსეთთან, ჩინეთთან, თურქეთთან და ინდოეთთან. შპს „ზოდი პლიუსის“ ექსკლუზიური პარტნიორია საქართველოში არაერთი ცნობილი საერთაშორისო ბრენდის სარემონტო-მოსაპირკეთებელი მასალების სფეროში.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ბაზარზე წარმოდგენილი იყო ხუთი ფილიალით (სავაჭრო დარბაზით) საქართველოს შემდეგ ქალაქებში: თბილისი, რუსთავი, მარნეული, გორი და ბათუმი.

კომპანიის მფლობელობაშია ქვის საამქრო, რომელშიც ხორციელდება ბუნებრივი ქვის დაჭრა-გადამუშავება და ქვის ნაკეთობების დამზადება. ქვის საამქრო განთავსებულია შპს „ზოდი პლიუსის“ კანონიერ მფლობელობასა და სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე, მდებარე: ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის გამზ. 84.

ინფორმაცია კომპანიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ

კომპანიის საკუთრებაშია ქ. თბილისში, ნონა გაფრინდაშვილის ქუჩა #11-ში მდებარე, 4001 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია „ზოდი პლიუსის“ ცენტრალური ფილიალი და სასაწყობო ფართები.

კომპანია საკუთრების უფლებით ფლობს ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილზე მდებარე, 1280 კვ. მეტრ მიწის ნაკვეთს, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით, რომელიც წარმოადგენს გორის ფილიალის სავაჭრო დარბაზს.

„ზოდი პლიუსი“ იჯარის უფლებით ფლობს ქ. თბილისში, დავით გურამიშვილის გამზირზე მდებარე, 4900 კვ. მეტრ სასაწყობე ფართს, სადაც განთავსებულია კარის საწყობი, 932.53 კვ. მეტრ საოფისე ფართს და 813.9 კვ. მეტრ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ დროებით შენობას, რომელშიც მოწყობილია აუთლეტ მაღაზია. ამავე მისამართზე, კომპანია იჯარის უფლებით ფლობს 3966 კვ. მეტრ მიწის ნაკვეთს, სადაც 2022 წელს განთავსდა ქვის საამქრო, 8076 კვ. მეტრ მიწის ნაკვეთს, მასზე არსებული 261.99 კვ. მ. შენობა-ნაგებობით და ასევე, იჯარის უფლებით ფლობს 6.32 კვ. მ. და 1.86 კვ. მ. სათავსოებს.

კომპანია ქ. რუსთაველი იჯარის უფლებით ფლობს 260 კვ. მეტრ შენობა-ნაგებობას, რომელშიც განთავსებულია რუსთაველის ფილიალის სავაჭრო დარბაზი, ხოლო ქ. მარნეულში, სულხან-საბას ქუჩაზე, „ზოდი პლიუსი“ იჯარის უფლებით ფლობს 120 კვ. მეტრ შენობა-ნაგებობას, რომელშიც განთავსებულია მარნეულის ფილიალის სავაჭრო დარბაზი, და 150 კვ. მეტრ სასაწყობე ფართს, რომელშიც განთავსებულია მარნეულის ფილიალისთვის განკუთვნილი მარაგები.

„ზოდი პლიუსი“ ქალაქ ბათუმში იჯარის უფლებით აქვს აღებული 400 კვ. მ. სასაწყობე ფართი (მდებარე: ქ. ბათუმი, გაგარინის ქუჩა N30) და 955.3 კვ. მ. შენობა-ნაგებობა (მდებარე: ქ. ბათუმი, პუშკინის ქუჩა N33), რომელშიც განთავსებულია სავაჭრო დარბაზი (შოურუმი).

კომპანიის განვითარების მიმოხილვა

საწყის ეტაპზე, კომპანიის საქმიანობა შემოიფარგლებოდა სარემონტო მასალების იმპორტითა და რეალიზაციით.

2012 წლის დასაწყისში „ზოდი პლიუსი“, ქ. თბილისში წარმოდგენილი იყო სამი სავაჭრო დარბაზითა და სამი სასაწყობე ფართით. თავდაპირველად, კომპანიის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა კარის იმპორტი და მისი რეალიზაცია, ხოლო შემდგომ ეტაპებზე დაიწყო აქტიური განვითარება ქვის მიმართულებით. ამასთან, მცირე რაოდენობით, სავაჭრო დარბაზებში დაიწყო შერეული სარემონტო მასალებისა და ლამინირებული იატაკის წარმოდგენა.

2012 წლის ივნისის თვეში, კომპანია ძირითადად განვითარდა ქვის მიმართულებით, რომლის ფარგლებშიც, გაიზარდა ქვის სასაწყობე ფართების რაოდენობა, დაიწყო ქვის სახეობების გაფართოება, ქვის კატეგორიაში ჩამოყალიბდა სამი ძირითადი პროდუქტი: მარმარილო, ბუნებრივი გრანიტი და კვარცი, ქვის საამქროში დაიდგა თანამედროვე დანადგარი, რომლის საშუალებითაც ხდებოდა ქვის ნებისმიერ ზომაზე კორექცია, დამუშავება და მომხმარებელამდე მიწოდება. იმ დროისთვის, კომპანიის მიერ სარეალიზაციო ქვის ნომენკლატურული ჩამონათვალი გაიზარდა 2000-მდე. ამავე წელს, კომპანიამ ქ. თბილისში, ავ. წერეთლის გამზირზე დამატებით გახსნა ერთი სავაჭრო დარბაზი, ცალკე დეპარტამენტად ჩამოყალიბდა კორპორატიული გაყიდვების მიმართულება და აქტიურად დაიწყო კორპორატიულ დამკვეთებთან თანამშრომლობა.

2013 წლის დასაწყისში, ზოდი პლიუსმა აქტიურად დაიწყო რეგიონალური ბაზრის ათვისება, რომლის ფარგლებშიც, ქალაქ რუსთავში, ქალაქ გორსა და ქალაქ მარნეულში გაიხსნა სამი სავაჭრო დარბაზი. ასევე, განხორციელდა ისეთი კატეგორიების მიმართულების ფორმირებაც, როგორიცაა კერამიკა, ლამინატი, გათბობა და შერეული სამშენებლო პროდუქცია. კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა 2013 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 75 დასაქმებულს.

2014 წელს კომპანია სტაბილურად ვითარდებოდა და ფართოვდებოდა სასაწყობე ფართების მიმართულებით. ამავე წელს, ქ. თბილისში, აკ. წერეთლის გამზირზე, ცალკე სასაწყობე ფართი დაეთმო კერამიკის პროდუქციას, რომელშიც, კერამიკულ ფილებთან ერთად განთავსდა ლამინირებული იატაკი და სხვადასხვა სარემონტო აქსესუარი. 2014 წლის ბოლოს, ზოდი პლიუსის თანამშრომელთა რაოდენობა 75-იდან გაიზარდა 84 თანამშრომლამდე, ხოლო სარეალიზაციო პროდუქციის ნომენკლატურული ჩამონათვალი გასცდა 3000-ს.

2015 წელს და 2016 წლის დასაწყისში, კომპანიას კვლავ შენარჩუნებული ჰქონდა სტაბილური მდგომარეობა, მიმდინარეობდა მზადება ახალი სავაჭრო დარბაზისა და ცენტრალური საწყობის გასახსნელად. 2016 წლის ოქტომბერში, ქ. თბილისში, აკ. წერეთლის გამზ. 149-ში გაიხსნა „ზოდის პლიუსის“ ცენტრალური სავაჭრო დარბაზი და იმავე თვეში, ქ. თბილისში, დ. გურამიშვილის გამზირზე გაიხსნა კომპანიის ცენტრალური საწყობი. 2016 წლის ბოლოსთვის, თანამშრომელთა რაოდენობა 84-დან გაიზარდა 145 დასაქმებულამდე.

2016-2017 წლებში, იმპორტული პროდუქციის სახეობათა გასაფართოებლად და რაოდენობის გასაზრდელად, კომპანია, ევროპისა და აზიის მასშტაბით, დაუკავშირდა არაერთ მომწოდებელს, რომელთაგანც დაიწყო აქტიური თანამშრომლობა, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „ზოდის პლიუსის“ შემდგომ განვითარებაში. აღნიშნულის შედეგად, გაიზარდა, გაფართოვდა და ცალკე ასორტიმენტებად ჩამოყალიბდა კარის, ქვის, ლამინირებული იატაკის, შპალერის, კერამიკისა და შერეული სარემონტო პროდუქციის სექციები. 2017 წლის ბოლოს, კომპანიის სარეალიზაციო პროდუქციის ნომენკლატურული ჩამონათვალი გასცდა 10000-ს, რაც რეკორდული აღმოჩნდა წინა წლებთან მიმართებაში.

2018 წლის დასაწყისში, განხორციელდა რამოდენიმე ცვლილება, კერძოდ, კომპანიამ მეტი ყურადღება დაუთმო კერამიკისა და აბაზანის აქსესუარების სახეობების რაოდენობის გაზრდას. ცენტრალური სავაჭრო დარბაზის ცალკე სართულზე მოეწყო კერამიკისა და აბაზანის აქსესუარების შოურუმი და მაქსიმალურად მოხდა მათი წარმოჩენა მომხმარებლებისთვის. 2018 წლის დასაწყისში, „ზოდის პლიუსის“ სარეალიზაციო პროდუქციის ნომენკლატურული ჩამონათვალი 12000-მდე გაიზარდა, ხოლო თანამშრომელთა რაოდენობამ 160-ს მიაღწია.

2019 წლის ოქტომბერში კომპანიამ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში, სს „საქართველოს ბანკის“ ფინანსური მხარდაჭერითა და თანადგომით განახორციელა ქართული ბუნებრივი ქვის საწარმოს პროექტი. აღნიშნული საწარმო ახორციელებდა საქართველოში მოპოვებული ბუნებრივი ქვების (ბაზალტი, გრანიტი, კირქვა) წარმოებას, თუმცა ბოლოდროინდელი არახელსაყრელი ფინანსური შედეგების გამო, კომპანიას 2024 წლისთვის მოუწია აღნიშნული საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

ამასთან „ზოდის პლიუსმა“, პროფესიული განვითარების, შრომითი ბაზრის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის, დასაქმების მაჩვენებლისა და კერძო სექტორის როლის ზრდის მიზნით, სხვადასხვა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებასთან გააფორმა

მემორანდუმი, რაცმაც სტუდენტებს მისცა საშუალება კომპანიის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისგან მიეღოთ სრულფასოვანი სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა და ხელი შეეწყო მათ მომავალში დასაქმებას.

2020 წლის ივლისში, კომპანიამ, სარეალიზაციო პროდუქციის გაზრდისა და რეგიონალური ბაზრის ათვისების გაფართოების მიზნით, მიუხედავად საქართველოსა და მსოფლიოში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პანდემიისა და მის გამო დაწესებული შეზღუდვებისა, ქალაქ ბათუმში წარმატებით გახსნა ახალი ფილიალი. ბათუმის ფილიალის სავაჭრო დარბაზში წარმოდგენილია ყველა ის პროდუქცია, რომლის რეალიზაციასაც კომპანია, დღესდღეობით, ახორციელებს.

2021 წლისთვის, კომპანია აპირებდა აუთლეტ მაღაზიის ცალკე ობიექტად მოწყობასა და განვითარებას, რაც წარმატებით განხორციელდა. კომპანიამ თავის კანონიერ მფლობელობასა და სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მდებარე: ქ. თბილისი, დავით გურამიშვილის გამზ. 188დ) აუთლეტ მაღაზიის განსათავსებლად მოაწყო დროებითი შენობა, რომელიც წარმატებით ახორციელებს ოპერირებას და ხელს უწყობს აუთლეტ პროდუქციის რეალიზაციას.

2020 წელს ზოდი პლიუსმა, საკუთარი ძალებითა და სახსრებით, დაიწყო ქართული ქვის საწარმოს აღჭურვა ბუნებრივი ქვის ქართული წარმოების მცირე ზომის დასაჭრელი დანადგარებით, ხოლო 2021 წლისთვის დაგეგმილი ჰქონდა ბუნებრივი ქვის ქართული წარმოების დიდი დასაჭრელი დანადგარებით აღჭურვა, რაც წარმატებით განხორციელდა და ქართული ქვის საწარმოს დაემატა ბუნებრივი ქვის დიდი დასაჭრელი რამოდენიმე დანადგარი.

2023 წელს, კომპანიამ ქ. ბათუმში განთავსებული ფილიალი გადაიტანა განსხვავებულ ლოკაციაზე (მდებარე: ქ. ბათუმი, პუშკინის ქუჩა N33; 955.3 კვ. მ. შენობა-ნაგებობა), სადაც ინტენსიურია პოტენციური მომხარებლების გადაადგილების ნაკადები და გამარტივებულია წვდომა სავაჭრო დარბაზამდე. მიუხედავად ამისა, კომპანია კვლავ აგრძელებს ფინანსურად და ადგილმდებარეობის მიხედვით უფრო ხელსაყრელი ლოკაციის მოძიებას.

2024 წელს, „ზოდი პლიუსმა“, სასტუმროსთვის განკუთვნილი ავეჯის ბაზრის ათვისებისა და ამ მიმართულებით სავაჭრო საქმიანობის წამოწყების ფარგლებში, შპს „ალიანს ფრივილიჯთან“, 2023 წელს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ქალაქ ბათუმში მშენებარე, მრავალფუნქციური კომპლექსის - „Alliance Privilege“-ის სასტუმრო აპარტამენტებში წარმატებით განახორციელა ავეჯის მიწოდებისა და მონტაჟის ძირითადი ნაწილი.

2024 წელს, „ზოდი პლიუსმა“ განახორციელა ძირეული რებრენდინგი, რომლის ფარგლებშიც, შეიცვალა კომპანიის ლოგო, სლოგანი და ფირმის ვიზუალები. გარდა ამისა, „ზოდმა“ გარდაქმნა მომხმარებლებთან მუშაობის წესები და შეცვალა სავაჭრო სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც, სარეკლამო კამპანია მორგებულ იქნა ძირითად მიმართულებებზე - ქვაზე, კარსა და სხვაზე (კერამიკა, აბაზანა).

კომპანიის სტრატეგიის ცვლილების ფარგლებში, 2024 წელს, ქალაქ თბილისში მდებარე ცენტრალური ფილიალის ტერიტორიაზე (მდებარე: ქ. თბილისი, ნონა გაფრინდაშვილის ქუჩა #11) ფუნქციონირება შეწყვიტა შერეული პროდუქციის შოურუმმა და მის ნაცვლად, ეწყობა

ძირითადი მიმართულების (ქვა/კერამიკა) სავაჭრო დარბაზი, სადაც წარმოდგენილი იქნება „Kutahya“-ს ბრენდის პორსელანის მაღალფორმატიანი ფილები და უახლოეს მომავალში, იგეგმება ამ სივრცის ოფიციალური გახსნა.

კომპანია, არაერთი წარმატებული პროექტის განხორციელების მიუხედავად, გეგმავდა აქტიური ნაბიჯების გადადგმას რეგიონალური ბაზრის ათვისებისთვის და სავაჭრო ქსელის გაფართოებისთვის, თუმცა ბოლოდროინდელმა შედეგებმა აჩვენა, რომ უმჯობესია აქცენტის გაკეთება ძირითად მიმართულებებსა და დიდ ქალაქებში „ზოდის“ ბრენდის პოპულარიზაციაზე.

2024 წელს, არარენტაბელურობისა და ყოველწლიურად იმგვარი ხარჯების გაზრდის გამო, რომლის კომპენსირებაც ვერ ხერხდებოდა მიღებული შემოსავლებით, ფუნქციონირება შეწყვიტა ქართული ბუნებრივი ქვის საწარმომ. კომპანიამ ამავე წელს მოახდინა საწარმოში არსებული დაზგა-დანადგარებისა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ნივთის რეალიზაცია, რის სანაცვლოდაც „ზოდი პლიუსმა“ ქალაქ ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი N31-ში/ პეტრე ბაგრატიონის ქუჩა N169-ში, მდებარე მშენებარე კომპლექსში შეიძინა 11 ერთეული საოფისე ფართი, 23 ერთეული ავტოსადგომი და 3 ერთეული დამხმარე ფართი.

ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით

„ზოდი პლიუსი“ ყოველთვიურად ახორციელებს ფინანსური ანგარიშგებისა და სხვადასხვა სახის მოხსენებების მომზადებას, რაც ხელს უწყობს კომპანიის მენეჯმენტს ფინანსური რისკების ანალიზსა და შეფასებაში. ანალიტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, კომპანიის მენეჯმენტი ადგენს გეგმას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს გადახდისუნარიანობის რისკების დაზღვევა, სესხის მომსახურების კოეფიციენტების დაცვა, ფულადი ნაკადების რისკების მართვა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. კომპანია ფინანსურ პარტნიორობთან ერთად, წინასწარ ახდენს კაპიტალური დანახარჯების, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ეფექტების დათვლას, განიხილავს და აფასებს ფინანსური სახსრების მოზიდვის გზებს, კომპანიის სტაბილურობას და მხოლოდ აღნიშნულ ინფორმაციებზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას კაპიტალური დანახარჯების შესახებ.

ყოველი წლის დასაწყისში, კომპანიის მენეჯმენტი, გაყიდვებისა და შესყიდვების დეპარტამენტებთან ერთად, გასული წლის შედეგებზე და მიმდინარე წლის მოლოდინებზე დაყრდნობით ადგენს თვეების მიხედვით ჩაშლილ გაყიდვების წლიურ გეგმას. აღნიშნული გეგმა ხელს უწყობს კომპანიას ყოველთვიური თანხების მობილიზებაში. ამ პროცესის პარალელურად, იგეგმება განსახორციელებელი შესყიდვები და ბიუჯეტირება, რაც დიდწილად ამცირებს ფულადი სახსრების უკმარისობის რისკს. ყოველთვიურად, კონკრეტული მიმართულებების მიხედვით მიმდინარეობს შედეგების მონიტორინგი და აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილებების შეტანა გეგმებსა და ბიუჯეტში.

ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე არის ვალუტის კურსისა და ფასების მკვეთრი ცვლილება მსოფლიო ბაზარზე. „ზოდი პლიუსის“ მენეჯმენტი განუწყვეტლივ აკონტროლებს კურსთა შორის სხვაობას, როგორც ლართან მიმართებაში, ასევე იმ ქვეყნების ვალუტებთან მიმართებაში, რომელთანაც

კომპანიას სავაჭრო ურთიერთობა აკავშირებს. ნებისმიერი ძირეული ცვლილება ისახება პროდუქციის სარეალიზაციო ფასებზე, რაც ამცირებს ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ რისკებს. ამავდროულად, „ზოდი პლიუსი“ რეგულარულად ამოწმებს მსოფლიო ბაზარზე, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროდუქციის ფასებს.

ბოლო პერიოდის ფინანსური შედეგების ანალიზის საფუძველზე, კომპანიამ მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება, მოახდინოს პროდუქციის ასორტიმენტის ოპტიმიზაცია და შეამციროს ფილიალების რაოდენობა რეგიონებში. აღნიშნული გადაწყვეტილება ეფუძნება გაყიდვებისა და ხარჯების არასასურველ დისბალანსს, პროდუქციის ეფექტიანობის ანალიზს, არაეფექტური პროდუქციის მინიმიზაციასა და სტრატეგიული ფოკუსის ცვლილებას.

რეგიონალურ ფილიალებში დაფიქსირდა გაყიდვების დაბალი დონე, რაც ვერ უზრუნველყოფს საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების საკმარისად დაფარვას. შედეგად, რეგიონული ოპერაციების შენარჩუნება მნიშვნელოვნად აზიანებს კომპანიის საერთო მომგებიანობას.

გაყიდვების დინამიკის შეფასებამ აჩვენა, რომ კომპანიის ძირითადი პროდუქცია — კარი და ქვა — წარმოადგენს ყველაზე სტაბილურ და მაღალმომგებიან პროდუქტს. მათზე კეთდება ყველაზე მეტი შეკვეთა და ისინი ქმნიან კომპანიის მთლიანი შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს.

ასორტიმენტში არსებული ისეთი პროდუქცია, როგორიცაა კერამიკა, აბაზანა და აბაზანის აქსესუარები, არ ამართლებს მოლოდინებს გაყიდვების თვალსაზრისით. მათი რეალიზაცია შედარებით დაბალია (განსაკუთრებით საცალო გაყიდვებისას), მარაგების მართვა კი რთულდება და დაკავშირებულია მაღალი ლოჯისტიკურ ხარჯებთან. შესაბამისად, ამ ჯგუფის პროდუქციაზე რესურსების მიმართვა მნიშვნელოვნად ამცირებს საერთო ეფექტიანობას და კომპანიამ გადაწყვიტა ამ ასორტიმენტის კორპორატიულ მიმართულებად გადატანა.

კომპანიის გრძელვადიანი სტრატეგია მოითხოვს რესურსების კონცენტრაციას იმ მიმართულებებზე, რომლებიც გამოირჩევა მაღალი მარჟითა და სტაბილური მოთხოვნით. სწორედ ამიტომ მიღებულია გადაწყვეტილება, შემცირდეს არაეფექტური ასორტიმენტი და ფილიალების რაოდენობა, რაც კომპანიას საშუალებას მისცემს, მოახდინოს ხარჯების ოპტიმიზაცია და გაამდიდროს პოზიციები ძირითად სეგმენტში.

დღეის მდგომარეობით, „ზოდი პლიუსს“ არ აქვს ფინანსური რისკების მართვის ფორმალიზებული პოლიტიკა და პროცედურები, თუმცა კომპანია გეგმავს მომავალში მის განვითარებას.

კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანია, ბოლო პერიოდის გაყიდვების მაჩვენებლების ანალიზისა და შედეგების გათვალისწინებით, მომავალი წლიდან, აპირებს, კერამიკისა და აბაზანის/აბაზანის აქსესუარების მარაგების ლიკვიდაციას, შესყიდვების მაქსიმალურად შემცირებასა და მათი გაყიდვების გადატანას მხოლოდ კორპორატიული მიმართულებით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, იგეგმება, კორპორატიული გაყიდვების მენეჯერების აქტივობის გაზრდა კერამიკის/აბაზანის/აბაზანის აქსესუარების მიმართულებით და ამავდროულად,

„ზოდი პლიუსის“ სავაჭრო დარბაზების გამოთავისუფლება კერამიკის/აბაზანის/აბაზანის აქსესუარების პროდუქციისგან. ამგვარად, კომპანია, 2025 წლიდან ავიწროვებს ძირითადი მიმართულებების სპექტრს და მთავარ აქცენტს გააკეთებს ქვისა და კარის პროდუქციის განვითარებასა და ასორტიმენტის გაზრდაზე. „ზოდი პლიუსის“ ფინანსურმა მდგომარეობამ აჩვენა, რომ კომპანიის გაუმჯობესებისათვის მომგებიანია იმ ორი კონკრეტული მიმართულების განვითარება, რითაც „ზოდი“ ცნობილია და ფართოდაა წარმოდგენილი ქართულ ბაზარზე.

2025 წლისათვის, „ზოდის“ სარეკლამო კამპანიების ძირითადი ნაწილი დაეთმო ქვისა და კარის პროდუქციის პოპულარიზაციას.

კომპანიის სტრატეგიის ცვლილების ფარგლებში, 2025 წელს, დაგეგმილია, ცენტრალური ფილიალის ტერიტორიაზე (მდებარე: ქ. თბილისი, ნონა გაფრინდაშვილის ქუჩა #11) ცალკე სივრცეში (სადაც განთავსებული იყო შერეული პროდუქცია), „Kutahya“-ს ბრენდის პორსელანის ფილების შოურუმის მოწყობის დასრულება და გახსნა.

2025 წელს იგეგმება ორი ძირითადი მიმართულების - ქვისა და კარის - პროდუქციის ბრენდების დამატება და მომხმარებლებისთვის უფრო მრავალფეროვანი არჩევანის შეთავაზება.

კომპანია, დაბალი რენტაბელურობისა და მაღალი ხარჯების გამო, აღარ აპირებს რეგიონებში სავაჭრო ქსელის გაფართოებას და ამ მიმართულებით, 2025 წელს დაგეგმილია გორისა და მარნეულის ფილიალის ფუნქციონირების შეწყვეტა, თუმცა კორპორატიული მიმართულების განვითარებითა და სადილერო ქსელის მასშტაბების გაზრდით, დაგეგმილია სადილერო ბაზრის აქტიურად ათვისება, რაც კომპანიას მისცემს ადგილობრივი ბაზრის საკუთარი პროდუქციით მომარაგების საშუალებას, მეტი შემოსავლის მიღებისა და კომპანიის ყოველთვიურ საიჯარო, კომუნალური და სხვა სახის დანახარჯების შემცირების შესაძლებლობას.

2025 წელსაც, „ზოდი პლიუსი“ კვლავ აქტიურად აპირებს სასტუმროსთვის განკუთვნილი ავეჯის ბაზრის უფრო მეტად ათვისებას და ამ მიმართულებით სავაჭრო საქმიანობის განვითარებას.

2025 წლისთვის, „ზოდი პლიუსი“ გადაწყვეტილი აქვს დებიტორული დავალიანებების შემცირება და ოპტიმიზაცია სხვადასხვა სამართლებრივი ღონისძიებების გატარებით.

ფინანსური შედეგების გასაუმჯობესებლად, კომპანიის გეგმებში შედის ფართომასშტაბიანი კორპორატიული პროექტების მოძიება და განხორციელება. ამ მიმართულების გასაძლიერებლად, „ზოდი პლიუსი“ უზრუნველყოფს, როგორც არსებული კადრების გადამზადებას, ასევე კვალიფიციური კადრების მოძიებას.

„ზოდი პლიუსი“, პროფესიული განვითარების, შრომითი ბაზრის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის, დასაქმების მაჩვენებლისა და კერძო სექტორის როლის ზრდის მიზნით, კვლავ გააგრძელებს სხვადასხვა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებასთან მემორანდუმების გაფორმებას, რაც სტუდენტებს მისცემს საშუალებას კომპანიის მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისგან მიიღონ სრულფასოვანი სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა, ასევე ხელს შეუწყობს მომავალში მათი დასაქმების პროცესს.